ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა
საბანკო გარანტია N1697369-10436573

ქ. თბილისი
3720/109-42

08 აპრილი 2019 წელი

ვის: სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს (ს/კ - 204578581)
(შემდგომში „ბენეფიციარი")

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ **„ჯი-თი მოტორს"**-მა (ს/კ: 206276340) (შემდგომში „პრინციპალი"), სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ სპეციალიზირებული (პიკაპის ტიპის) სატრანსპორტო საშუალებების შესყიდვაზე გამოცხადებულ კონსოლიდირებულ ტენდერში (CON190000182) წარდგენილი თავისი წინადადების თანახმად, იკისრა ვალდებულება, სატენდერო დოკუმენტაციის პირობების შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ გასაფორმებელი ხელშეკრულებების უზრუნველსაყოფად ბენეფიციარებთან წარადგინოს შესრულების საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით, ბენეფიციართან გასაფორმებელ ხელშეკრულებაში (შემდგომში „ხელშეკრულება") მითითებულ თანხაზე, ჩვენ, სს თიბისი ბანკი (4 (ოთხი) ერთეული სპეციალიზებული (პიკაპი) ტიპის ავტომანქანების სახელმწიფო შესყიდვა) (მის.: საქართველო, ქ. თბილისი 0102, მარჯანიშვილის ქ. #7) (შემდგომში „გარანტი"), თანახმა ვართ გავცეთ პრინციპალის სახელზე ზემოთ აღნიშნული საბანკო გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე პრინციპალის სახელით საერთო თანხაზე

4,122.16 (ოთხი ათას ას ოცდაორი და 16/100) ლარი

და გამოუთხოვადად და უპირობოდ (რაც გულისხმობს, რომ საგარანტიო თანხის ანაზღაურების შესახებ ბენეფიციარის წერილობით მოთხოვნაში მითითებული უნდა იყოს თუ რაში გამოიხატება პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევა, მოთხოვნისა და/ან მოთხოვნილი თანხის ყოველგვარი დასაბუთების და ყველანაირი დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენის ვალდებულების გარეშე) ვკისრულობთ ზემოაღნიშნული თანხის გადახდას პრინციპალის მიერ ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, თქვენი პირველივე წერილობითი მოთხოვნისთანავე 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

მოთხოვნა საგარანტიო თანხის ანაზღაურებაზე ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული წერილობითი ფორმით, სადაც მითითებული იქნება მოთხოვნილი თანხა და განმარტებული იქნება კონკრეტულად პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული ხელშეკრულების რა პირობები იქნა დარღვეული პრინციპალის მხრიდან.

გარანტია ძალაში რჩება **2019 წლის 16 აგვისტოს** ჩათვლით.
აღნიშნულიდან გამომდინარე, ნებისმიერი მოთხოვნა ან პრეტენზია ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს საბანკო გარანტიის ვადის გასვლამდე, გარანტის ზემოთ მითითებულ მისამართზე.

საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება:

- საბანკო გარანტიის ვადის გასვლით;
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობითი უარის თქმითა და საბანკო გარანტიის ორიგინალის გარანტისათვის დაბრუნებით;
- გარანტის მიერ საგარანტიო თანხის ბენეფიციარისთვის სრულად გადახდით.

წინამდებარე საბანკო გარანტია რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

სს „თიბისი ბანკი"-ს წარმომადგენელი
თამარ ხიზანიშვილი